სამშობლო

წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 1 მ. ცალკე ნომერი [illegible] დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს [illegible] ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. [illegible] მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი [illegible] პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., [illegible] 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე [illegible] განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების ბეჭდვა თითოეული ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 264 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 264

ტელეფონი № 76. ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

388

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის

ქ. ქუთაისი ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ ქ. ქუთაისი

„სამშობლო“-ზე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან., სამი თვით 2 მ. და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნომერი 5 კ.

რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ცინცაძე.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

ორშაბათს, 18 იანვრიდან ახალი პროგრამა

ომი ელზასში, ომის ქრონიკიდან.

1357

გვამთან.

სენსაციური დრამა ორ ნაწილ. ცნობილ იტალიელ მსახიობის მარიო ბონარის მონაწილეობით.

გაზაფხულზე

ყინტერესო კომედია სამ ნაწილად ლეონსის მონაწილეობით. მხატვრული სურათი.

ელექტრო „ამპირი“ თეატრი

ორშაბათიდან, 18 იანვრიდან ახალი პროგრამა მხოლოდ დიდებისთვის

ომი ელზასში. ომის ქრონიკიდან.

კაეშნიანი სულნი.

თანამედროვე დრამა სამ ნაწილად, იტალიელ გამოჩენილ მსახიობთა ოლჩის და კარნო ზენეტის მონაწილეობით.

სტუდენტი და უცნობი ქალი. ხუმრული კომედია ორ ნაწილათ, ცნობილ მსახიობების ვ. კრალინსკ და ანტონ ფერტნერას მონაწილეობით.

სანერგე ამერიკული ვაზის „კლო ქლურული“

ქუთაისში. კახიანაური, საკუთარი სახლი.

ჰყავს გასაყიდათ დამზადებული საკუთარ სანერგეში, იმერეთში, 300000 ლერწი **ამერიკული ვაზისა ჰიბრიდი, დამყნილი** და **დაუმყნელი.** საკუთარ ორ სანერგეში ფრანციაში დამზადებულია არა ნაკლები 800000 ძირისა, რომელიც მსურველს შეუძლია მოითხოვოს რუსეთში, თუ უკეთუ დაკვეთის ცნობას მარტამდი გაგზავნის.

პრეისკურანტი და ახსნა-დარიგება მყიდველებს უფასოთ დაეთმობა. 10—8

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა „რუსეთი“ („როსსია“), სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე**

ექიმი ა. მ. ასათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალ-ურ, ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქუჩის კუთხე, სახ. № 3. თ.

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ლებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდე, კვირეს გარდა.

თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

ექიმი ი. ჩარეძოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. თ.

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი სნეულებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ, **ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი.** თ.

დოკტორი მედიცინისა პრივატ-დოცენტ-

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავათმყოფობებით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 ს. და საღამოს 6 ს. 8 ს. გოსპიტლის ქუჩა, № 6. თ.

სტუდენტი ფილოლოგი ამზადებს და უსწორებს გაკვეთილებს, ზომიერ ფასათ. ნახვა შეიძლება ყოველ დღე 2—4 ს.

გოსპიტლის ქუჩა სახლი ალახვერდიევის, ბინა ალილოვის. თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

ექიმი ბ. დ. ნასარიძე შინაგანი ნერვებისა და ბავშვების სნეულებათ ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თ.

კბილის ექიმი რ. პ. სვანაძის ასული

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე. თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

წარმოდგენა № 43

ქალაქი ქუთაისი. „ქართული დრამა“ ქალაქის თეატრი.

კვირას, 17 იანვარს, 1916 წ. წარმოდგენილი იქნება პიესა ბურჟუათა ცხოვრებ.

გაკოტრება

5 მოქ. ავტორი ბიორნსონი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ბ ბეგანიშვილი სუზანა, კავთელი ან., მდივანი მარო. ბ.ბ. ბარველი ვანო, გვარამაძე ნიკო, დადიანი შალვა, კორიშელი პლატონ, მერაბიშვ ანდრია, სახელი ლადო, ყალაბეგიშვილი სანდრო, ჩაგუნავა ნიკო, ჩხიკვაძე ვარლამ, ხონელი შალვა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 ს.

რეჟისორი **შ. დადიანი.** ადმინისტრაცია „ქართ. დრამ.“ ამხ.-სა.

ანონსი: მზადდება ანდრო მარუსიძის [illegible] **„მურად-ფაშა“.**

გრიგოლ მიტროფანეს ძე

დავიდოვსკი

თავისუფალი მხატვარი

კვირას, 17 იანვარს, ქ. ქუთაისის საკრებულო დარბაზში გამართავს

კონცერტს ხოროთი

განახლებული პროგრამით. ბილეთები იყიდება იქვე დილის 11 საათ. 2 საათ., ნაშუადღევის 4 საათ. სპექტაკლის დასრულებამდი.

უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 15 იანვარი. ოფიციალური. დასავლეთის ფრონტი რიგის რაიონში სარტილერიო სროლა. გერმანელების ჰაეროპლანებმა, რომელნიც არტილერიას სროლის დროს ეხმარებოდენ, სხვა და სხვა ალაგას ყუმბარები ჩამოყარეს. პლიაკიშენის რაიონში ჩვენი არტილერია წარმატებით მოქმედებს სვენტენის ტბის რაიონში ჩვენმა არტილერიამ გაფანტა გერმანელთა ჯარის უდიდესი ნაწილი და დაანგრია მათი თხრილები, შუა სტრიპაზე მზვერავ რაზმების შეტაკებაა. 9 იანვრის ღამეს ჩვენი ჯავშნიანი ავტომობილი მტრის მავთულიან ხლართებს მიუახლოვდა და მუშათა ძლიერ ჯგუფს სროლა აუტეხა და გაფანტა. ბუჩაჩის ჩრდილოეთით ჩვენმა მზვერავებმა ხელით სასროლ ყუმბარებით გაღენა მტერი სამი თხრილიდან, რომელ თხრილის დასაკავებლათ გაიმართა ბრძოლა, რომლის დროსაც მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ და დავიკავეთ თხრილის ერთი კუთხე.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

რომი. 15 იანვარი. მთავარი ბანაკის ცნობა. მთელი ფრონტის გასწვრივ ძლიერი საარტილერიო ბრძოლა იყო ჰაეროპლანების დახმარებით. მტრის არტილერიამ ჩვენს ბანაკში ცეცხლი გამოიწვია, მაგრამ მალე ჩავაქრეთ. მტრის ჰაეროპლანებმა ყუმბარები ჩამოყარეს უშედეგოთ ლავარონისა და სუგანის ხეობებში. ჩვენმა არტილერიამ მტრის სადარაჯოები გაანადგურა ფრანშის ხეობაში. გორიცის მიდამოებში მტრის შეტევა შეაჩერა ჩვენმა ჯარმა და კიდეც მტკიცედ დამკვიდრდა დაჭერილ პოზიციაზე. ჩვენმა არტილერიამ გაფანტა მტრის რაზმი, რომელიც იზონცოს ხიდისკენ მოდიოდა. კარსოსთან 13 იანვარს ჩვენმა რაზმმა სასწრაფოთ წეიწია წინ სანმარტინის საყდრისკენ, სადაც მას შეუერთდა მაშველი რაზმი და დამკვიდრდა.

ლონდონი. 15 იანვარი. მთავარი ბანაკის ცნობა საფრანგეთიდან. ჩვენ ავაფეთქეთ ნაღმი ქივანშის წინაამდეგ და სხვადასხვა პუნქტზე მტრის ხაზებს ყუმბარები დავუშინეთ. მტერი გვიპასუხებდა. ლოოსის მახლობლათ არმანტიერთან და

43

იმრიან ჩვენი არტილერია წარმატებით უპასუხებდა.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 15 იან. საღამოს ოფიციალური ცნობა. ბელგიის ფრონტზე ჩვენი არტილერია მარჯვეთ მოქმედებდა.

სტენსტრეტესა და გეტსასის შუა მდებარე მიდამოებში ჩვენმა არტილერიამ მძლავრათ დაუშინა გერმანელების თხრილებს და დიდი ზარალი მიაყენა. ნევილსენვაასტის მახლობლათ მტერი ხელახლათ შეეცადა ქურის დაკავებას, საიდანაც ჩვენ იგი გავდევნეთ, მაგრამ მტრის კონტრიერიში მოგერებულ იქნა. ენის ჩრდილოეთით ჩვენმა ცეცხლმა გაანადგურა მტრის საველე სიმაგრეები. ჩვენ წარმატება გვქონდა მაღლობ 285 და მოტშევოშეს შუა, სადაც აეფეთქეთ ორი ნაღმი. ნაღმისაგან გაკეთებულ აფეთქებისაგან იყო გაკეთებული და მათ ეკავეთ. ამავე რაიონში მტრის მცირე რაზმმა მოინდომა იერიშის მოტანა, მაგრამ ჩვენმა ცეცხლმა მოიგერია. მტერმა სულის შემხუთავი გაზი იხმარა ჩვენს წინააღმდეგ.

კავკასიის ფრონტი.

მელაზგერთის დასავლეთ რაიონში ოსმალთა ძლიერი კოლონა გავანადგურეთ. ტყვეთ წამოვიყვანეთ 17 ოფიცერი და **274** ასკერი. ვიხელთეთ 10,000 პატრონი. ჩვენი ჯარი გაქცეულ მტრის ჯარს უკან დევნის დროს, შეიჭრა ქალაქ კიმე-კალეში (არზრუმისა და ნუშმის შუა) წამოიყვანა ბევრი ტყვე და იხელთა ოსმალოების ჯარისთვის დამზადებული დიდძალი სამხედრო სურსათი და სანოვაგე. ოსმალები მუშისკენ გარბიან.

სპარსეთში.

ურმიის ტბის სამხრეთით ჩვენ დავამარცხეთ ოსმალთა დიდძალი ჯარი. უკან დევნის დროს ტყვეთ ჩავიგდეთ ხელში ბევრი ასკერი და ქურთი, ვიხელთეთ ბევრი სამხედრო ნადავლი და სანიტარული ტრანსპორტი. ვიხელთეთ აგრეთვე რამდენიმე ათასი საქონელი. ქამადანის სამხრეთ აღმოსავლეთით, კანდელანის ულლტიხილის რაიონში, მტერი უკუვაქციეთ სამხრეთისკენ.

ომის ამბები.

(ქურნალ გაზეთებიდან)

ბუქარესტიდან იუწყებიან, რომ სტამბოლში უკვე 50000 გერმანელი ჯარის კაცი ჩამოიყვანეს, რომელთაც ეგვიპტეზე გასალაშქრებლათ გამზადებულ ექსპედიციის შეუერთებენ.

—ოსმალეთის ოფიციალური გაზეთები მოითხოვენ, რომ სპარსეთის დასავლეთის ნაწილის ავტონმია გამოცხადდეს, რომლის მთავრობას სათავეში ოსმალეთის პრინცი უნდა ჩაუდგეს.

—ოსმალეთის ძალების მთავარ სარდლათ კავკასიის ასპარეზზე ახლა დანიშნულია ცნობილი დიპლომატ-გენერალი ფონ დერ-გოლც-ფაშა, რომელიც გერმანეთისგან არის გამოგზავნილი ოსმალეთში. კავკასიის ფრონტზე, განსაკუთრებით არზრუმისაკენ მთავარ სარდლობა წინათ ცნობილ ხანდერსს ჰქონდა მინდობილი. ახლა სად მოქმედობს ეს გენერალი, ამაზე ცნობები არაა.

ბალკანეთში.

— ვილჰელმის მთავრობამ წინადადება მისცა სერბიის ყოფილ მინისტრებს, რომ ახალი სკუპჩინის (პარლამენტის) შესადგენათ ახალი საარჩევნო ორგანიზაცია მოაწყონ. ვილჰელმს თვითონ უნდა გახსნას სერბიის ახალი პარლამენტი, რომელიც მეფე პეტრეს ტახტიდან გადაყენებულათ გამოაცხადებს და მის მემკვიდრეთ ვისმეს სხვას აირჩევს.

— სალონიკში ბენზინის საიდუმლო საწყობი აღმოაჩინეს მოკავშირეებმა. ბენზინი გერმანიის სუბმარინებისთვის ჰქონდათ თურმე შემონახული. მოკავშირეებმა იგი თავისთვის შეინახეს.

— ბუქარესტიდან იუწყებიან, რომ ჩერნოგორიის გენერალმა მარტინოვიჩმა მოქმედება უკვე გაანახლა და ბერანის რაიონში ავსტრიის ჯარი შეავიწროვა.

— რუმინიიდან იუწყებიან, რომ ქ. ნიშში ვილჰელმის პატივსაცემათ ბანკეტი გამართეს სადაც გერმანიის იმპერატორმა სხვათა შორის სთქვა. თუ რუმინიამ დღემდე შორეული ბელგიის ბედი ვერ შეინიშნა, ახლა მახლობელ ქვეყნის, სერბიის უბედურებას ხომ თავის თვალით ხედავს? თუ კიდევ ესეც არ იკმარებს, მაშინ გერმანიის, ბულგარეთის და ოსმალეთის შეერთებული ლაშქარი სულ რაღაც 60 ვერსის მანძილს გაივლის ა. დუნაის გადალახავს და ძლევა მოსილი რუმინიის დედა ქალაქში, ბუქარესტში შევა.

— სალონიკის წინააღმდეგ გერმანელ ბულგარელთა ჯარების მოძრაობა საბერძნეთს როგორღაც არ აფიქრებს, საიდანაც აშკარათ სჩანს, რომ იგი ნეიტრალურ პოზიციას მტკიცეთ დაიცავს. გერმანელები მაინც პირდებიან ბერძნებს, რომ სალონიკს ზარბაზნებს არ დაუშენენ და თუ ვინიცობა იძულებული გახდნენ დაუშინეს და მიყენებულ ზარალს უთოდ აუნაზღაურებენ. ამასწინათ იუწყებოდენ რომ, გერმანიისა და ბულგარეთის ჯარებმა საბერძნეთის საზღვრები დატოვესო, ახლა სოფიიდან იტყობინებიან, რომ იქ უკვე გამზადებულია საომრათ გალიციის, ბოიადუევის და ტოდოროვის ჯარები.

საზღვარზე მოიყვანეს აგრეთვე გერმანიის საალყო არტილერია. ოპერაციას ამ დღეებში დაიწყებენო.

— სკუტარის დაცვა ბატონიშვილს მირკოს და გენერალ მარტინოვიჩს აქვს მინდობილი.

დამახასიათებელი წვრილმანი.

პეტროგრადიდან დეპეშით იუწყებიან, რომ მესამე არმიის უფროსს ინფანტერიის გენერალს, ლეონიდე ვილჰელმის ძეს ლეშს ნება დართეს, რომ ამიერიდან პავლეს ძეთ იწოდებოდეს. ვილჰელმი პავლეთ უნდა გადიქცეს.

ყოფილ ინტერნაციონალისტის განცხადება.

ერთ მრავალრიცხოვან კრებაზე ქ. ლონდონში სოციალისტმა ვანდერველდემ სთქვა: მოკავშირე ქვეყნების სოციალისტებმა მტკიცეთ გადაწყვიტეს, რომ „ომი ბოლომდე მიიყვანონ“. როგორ შემიძლია მე, ამბობდა ის, ნემეც-კოლეგებთან ერთათ ნიფლმიულ გადაფარებულ სტოლს მიუჯდე, მაშინ როდესაც ჩვენი ძმებ სისხლს ღვრიან ბრძოლის წითელ ველზე. მიუხედავათ ერთგვარი პრინციპებისა, ჩვენ საშინელი უფსკრული გვაშორებს ერთმანეთს. საფრანგეთის სოციალისტები მანამ ვერ მოისვენებენ, სანამ ელზას ლორინი არ დაუბრუნდება საფრანგეთს. „ბელგია და მოკავშირეები სამართლიანობას სრულ გამარჯვებას მოელიან“, დაამთავრა სიტყვა ვანდერველდემ.

ს. დ. შეიდმანის წინააღმდეგ.

თავის საარჩევნო ოლქის ამრჩევლებს, ზოლინგენის მცხოვრებთ ს. დ. დეპ. შეიდმანმა წინადადება მისცა, რომ საზოგადო კრება გაემართათ, და მათთვის ომისა და გერმანიის ხალხის შესახებ მოხსენება წაეკითხა. მაგრამ რაიონის ყველა ორგანიზაციების დიდმა უმრავლესობამ ეს წინადადება უარყო და განაცხადა რომ მანამ არ მოისმენს მოხსენებას, ვიდრე სამხედრო წესები ძალაში იქნება და საშუალება არ მიეცემა ხალხს, რომ ეს კითხვები თავისუფლათ გაარკვიოს.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

დღეს გაზეთთან ერთად ჩვენს ხელის მომწერლებს ეგზავნებათ სურათებიანი დამატება.

◆ ხვალ, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შენობაში, ყ-დ სამღვდელო გიორგის განკარგულებით, დაიწყება ქუთაისის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა კრება. გასარჩევია შემდეგი საკითხები: ა) განაწილება ულარიბეს მღვდლებზე ჯამაგირებათ 14381 მ. 98 კ., რომელიც გადადებულია ჯამაგირებზე 1 იან. 1915 წ. ბ.) სასულიერო სემინარიის გახსნა ქალაქ ქუთაისში 1916 წ. გ) გარჩევა სავაჟო და საქალებო სასულიერო სასწავლებლების ხარჯთ-აღრიცხვისა. დ.) ეპარქიის სანთლის საქმე. ე.) სასულიერო სამარხო კასის საქმეები. ვ.) მედავითნეებისათვის სკოლების დაარსებისა, რომელიც შეიმუშავა უწ. სინოდმა. და ზ.) წინადადება ბლაღ. ჯაფარიძისა, რათა მოისპოს პანაშვიდები სხვადასხვა დღესასწაულებზე.

◆ სამოქალაქო საქმეთა საკრებულომ წარსულ კრებაზე დაადგინა: მოეთხოვოს ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის შემადგენლობას დაწყებული 1898 წლიდან განმარტება იმის შესახებ, რომ ამ ხნის განმავლობაში რათ ახარჯბოდა უკანონოთ ქალაქისათვის სპეციალურათ გადადებული ფული.

◆ 26 იანვარს ქუთაისის საზოგადო საკრებულოში დანიშნულია აკაკის საღამო მისი გადაცვალების წლის თავის აღსანიშნავათ, გ. ტაბიძე წაიკითხავს ცნობილ ლექსს **აკაკის ლანდი**.

◆ კავკასიის მთავარი სანიტარული უფროსისა და თანხმათ მისი იმპერატორობითი უმაღლესობის მეფის ნაცვლისა ცირკულიარისა, ქუთაისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქუთაისის ქალაქის გამგეობას, გადასდვას თავისი წვლილი სხვა და სხვა გადამდებ ავათმყოფობის წინააღმდეგ საბრძოლათ.

◆ ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს ვორონცოვის ქუჩაზე დასდგან აკაკის ძეგლი და ამისათვის საჭირო თანხა შეაგროვონ.

◆ 31 იანვარს ქუთაისში მოხდება ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა კრება შემდეგი საკითხების გასარჩევათ: 1) გადათვალიერება სიებისა და დამტკიცება, რომელთაც ნება ექნებათ მონაწილეობის მიღებისა თავადაზნაურობის მორიგ კრებაზე. 2) არჩევა სამი წევრისა რომლებიც უნდა ჩამოვიდენ ქუთაისს და დეპუტატთა საკრებულოსთან ერთად, უნდა გამონახონ საშუალება დეპუტატთა საკრებულოს ხარჯების დასაფარავათ.

◆ ქარ. შ. წ. კ. გამ. საზოგადოების ზუგდიდის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე რომ ნება დართონ გახსნან უფასო წიგნ-საცავ-სამკითხველო დ. ანაკლიაში ილია ჭავჭავაძის სახელობაზე და ს. კულისკარში ვაჟა-ფშაველას სახელობაზე.

◆ ქუთაისის ქართული გიმნაზია და კლასიკური გიმნაზია აკაკის საღამოსათვის სამზადისს უკვე შეუდგენ, საღამო 26 იანვარს გაიმართება.

◆ ქალ. ქუთაისში [illegible] ქუთაისის [illegible] ბერნიაში კომერციული [illegible] [illegible] ლებელ საზოგადოების [illegible] ქუთაისის კომერციული [illegible] ზრუნველო საბჭო [illegible] ვალებათა გასაძლიერებლათ ყველიერის კვირაში ხუთშაბათს, 18 თებერვალს, გამართავს ტრადიციულ ლიტერატურულ მუსიკალურ და საცეკვაო საღამოს. გაჯადულ იქნება შამპანიური, კონფექტები, პროგრამები, ყვავილები, ჩაი და სხვა. ვახშმის დროს გაიმართება კაბარე. საღამო მეტად საინტერესო იქნება, მიზანი კი იქცევს დიდს ყურადღებას და თანაგრძნობას. იმის მიხედვით, რომ ქ. ქუთაისში არ მოიძებნება უფრო დიდი და საღამოსათვის შესაფერისი შენობა საღამო გამართულ იქნება ყოფილ ქალაქის თვითმართველობის დარბაზში. 18 თებერვლის საღამოზე შეუძლიათ დასწრება ისეთ მოწაფეებს, რომელთაც ნებართვა ექნებათ სასწავლებლის მთავრობისგან. ამ დღეს ბილეთების ფასი მოწაფეთათვისაც იგივე იქნება, რაც დიდებისათვის და ნება ექნებათ მოწაფეებს დასწრონ მხოლოდ ლიტერატურულ-მუსიკალურ განყოფილებას. 19 თებერვალს კი გამართული იქნება სპეციალურად მხოლოდ მოწაფეებისათვის ხელმისაწვდომ ფასებში საღამო ცეკვით ღამის 2 საათამდის. 19 თებერვლის საღამოზე ბილეთების ყიდვა შეეძლებათ მხოლოდ ისეთ მოსწავლეებს, რომელნიც წარმოადგენენ სასწავლებლის მთავრობისგან ნებართვას ხსენებულ საღამოზე დასასწრებლათ.

◆ დეკემბრის თვეში ქალაქის საავადმყოფოს მოსამსახურეებმა ჯარის კაცთა სასარგებლოთ თავის ჯამაგირებიდან გაიღიათ 17 მანეთი და 6 კაპიკი.

◆ ქუთაისის ქალთა წრემ 14 იანვარს, წმ. ნინოს დღესასწაულის დღეს ყულაბებით შეკრიბა 700 მან.

◆ ქუთაისის თავად-აზნაურობას აზრათ აქვს ბ. გუბერნატორს გაუმართონ გამოსამშვიდობელი სადილი.

◆ თბილისის ქალაქის თვითმართველობამ ქუთაისისას გამოუგზავნა სავალდებულო დადგენილება ნორმალური დასვენებისა სავაჭრო და სახელოსნო დაწესებულებათა მოსამსახურეთათვის.

სოფლათ.

— ამ დღეებში ს. კურზუს (სენ. მაზ.) მცხოვრებს დათიკა ნაჭყეპიას სახლს კერძო ინტერესით ცეცხლი მოუკიდეს. ზარალი 1500 მ. აღემატება.

— 5 იანვარს ს. ოზურგეთის მცხოვრებთ პავლე ბურჭულაძეს და მის ძმას ილარიონ მოუვიდათ ჩხუბი. უკანასკნელი მძიმეთ დაიჭრა.

სოციალური უტოპიები.

წერილი მესამე.

რა არის საერთო სოციალისტურსა და ზეკაცობის იდეათ შორის? ერთი შეხედვით არაფერი რადგან ვითომ ზეკაცობა ბრბოს უარყოფასა ნიშნავს, სოციალიზმი კი მთელ თავის იმედებს სწორედ ბრბოზე ამყარებს.

ფალკი და ანარქისტი ჩერსკი—ერთმანეთის წინააღმდეგ პოლიუსებს წარმოადგენენ.

და ჩერსკი ფალკის უარყოფით მხარეს სასწორით ახასიათებს. მეორე მხრით, ფალკსაც უფლება აქვს არ გაიზიაროს და უარყოს ჩერსკისა და მისი ამხანაგების ოცნება.

ჩემი აზრით კი ორივე მსოფლმხედველობა ცალმხრივია და შემცდარი.

ფალკი უარყოფს ბრბოს, არა სწამს ბრბოს შემოქმედებითი ძალა. და, როგორც ვთქვით, ეს შეცდომაა, რადგან სამეცნიერო, სახელოსნო და სოციალური პროგრესი მარტო ზეკაცთა საქმე კი არ არის, არამედ ადამიანთა თანამშრომლობის შედეგია. მეორე მხრით, სოციალისტური მსოფლმხედველობა თანასწორობის ნიშანს სვამს დიდსა და პატარას შორის და უარყოფს მაშასადამე რჩეულ პიროვნებათა მნიშვნელობას. ასეთია სოციალისტთა უმეტესობის მრწამსი, რომელსაც ეკონომიური მატერიალიზმი ეწოდება.

მაგრამ სოციალისტებისავე ბანაკში დაიბადა ერთი მიმდინარეობა, რომელიც კერძო პიროვნებას დიდ ისტორიულ როლს უთმობს. ამის წარმომადგენლებად ჩაითვლებიან პრუდონი, ბაკუნინი, ელიზე რეკლიუ, კროპოტკინი და სხ.

ეგრეთ წოდებული სოციალ დემოკრატია კი, რომლის მამა—მთავრად კარლ მარქსი ჩაითვლება, ისტორიულ მოვლენათ გარეგან, ობიექტიურ, უსულო საწარმოო პირობათა შედეგად ღიარებს.

აქედან კი გამომდინარეობს შემდეგი შეხედულობა. თუ პიროვნება მხოლოდ გარეგან, მისგან დამოუკიდებელ საწარმოო ძალთა სათამაშო ბურთია, მას იმდენად აქვს ფასი, რამდენადაც ღირს წრე, რომელსაც ის ეკუთნის. ამგვარად პიროვნებას თავისთავად კი არ აქვს რამე ღირებულება, არამედ იმისდა მიხედვით თუ სად, რომელ წრეში ჩაუყენებია ბედს, აზნაურთა, ბურჟუათა თუ პროლეტართა შორის. თუ ის შემთხვევით აზნაურია—რეაქციონერია და საძაგელი, თუ ბურჟუაა—შეუბრალებელი ექსპლოატატორია და მხოლოდ პროლეტარია უნაკლულო და ყოველგვარი ღირსებით შემკული.

ამ ცალმხრივობას ზედ ერთვის კიდევ მეორე—სოციალისტური უტოპიზმი. ამ ქვეყნიური სამოთხე მხოლოდ სოციალისტურ წესწყობილებაში განხორციელდება. დღევანდელი მდგომარეობა კი ჯოჯოხეთს წარმოადგენს რადგან ერთი მხრით პროლეტარიატი განიცდის შიმშილსა და ათასგვარ ზნეობრივ შევიწროებასა და მეორე მხრით ბურჟუაზია განცხრომასა და გარყვნილებაში ჩაფლული.

მაგრამ, ვიდრე სოციალიზმი ჩამოყალიბდებოდა და გამოირკვეოდა, მას წინ უძღოდა მისი მსგავსი და წინამორბედი მოძღვრება, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ძველი რადიკალიზმი, ან უწონასწორო, ჩამოუყალიბებელი სოციალიზმი.

პოლონეთის ხელოვნურ ლიტერატურაში ამ მიმართულების საუკეთესო განხორციელებას წარმოადგენს კონოპნიცკაია, რომლის ლიტერატურული მოღვაწეობა წარსული საუკუნის სამოცდამეათე წლებიდან დაწყებული დღემდის არ შეწყვეტილა.

საინტერესოა ერთი მისი პირველი ლექსთაგანი—„მერცხალი“.

გლეხები ისეთი სევდიანები არიან, რომ გაზაფხულზე ზღვის პირიქიდან მოფრენილ მერცხალსაც კი არ შეხარიან. უკიდურესმა სიღარიბემ გააქვავა და გააცრუა მათი გული და ხანდახან თუ გალობენ მაშინაც კი მხოლოდ მწუხარების გალობას. მათი ბავშვები იზრდებიან უპატრონოდ, [illegible] და თავის ნებაზე.

ამიტომ მერცხალი მხოლოდ დიდი მემამულის სახლს მიაშურებს ხოლმე.

არავინ არის, გლეხის განათლების საქმე რომ თავს იდვას. და უფსკრული ქოხსა და სასახლეს შორის, როგორც ძველად, დღესაც ისე უძიროა.

ამ პატარა ლექსში სოციალისტური რეალიზმის ცალმხრივობა ცხადად ჩანს. გლეხი რომ ისეთი პესიმიზმით იყოს გამსჭვალული, როგორც მისი პირისუფალი კონოპნიცკაია არის,—გლეხობა აქამდის ამოწყდებოდა. გაზაფხულის წინამორბედის—მერცხლის—მოფრენა მას უფრო უხარია ვიდრე განცხრომის ძეს—დიდ მემამულეს ან ბურჟუას, რადგან ბუნებასთან ის უფრო ახლოა. დიახ! ტყე-ველთა სამო სუნელება, გაზაფხულის ფრინველთა ჟრიამული და საზოგადოდ სამეურნეო შრომის პოეზია—გლეხის გულს უფრო ახარებს და ახალისებს, ვიდრე იმ ვაჟბატონებისას, რომელნიც მთელი დღე-ღამეები ოთახებში სხედან და მზის დანახვასაც კი უფრთხიან.

მისი ლექსი: „იასს არ დასცალდეს დამახასიათებელია“.

გაზაფხულის მზემ გლეხის ცივი ქოხიც გაათბო. მაგრამ მზის სხივებმა გლეხს თავისი გარდაცვალებული შვილი მოაგონა. ისი ზამთარში სიცივისა და შიმშილისაგან გარდაიცვალა. არ დასცალდა მიეგებებოდა გაზაფხულის მზეს. ახლა ის ცივ საფლავში დევს და მზე მისთვის აღარ ანათებს. რამდენია ასე უდროოდ გარდაცვლილი!! ამ საცოდავთა საფლავებს მედიდურად [illegible]. ძმებო: იასს რომ გაზაფხულის ხილვა არ დასცალდა, ნუ თუ თქვენი ბრალი არ არის?“

ასეთია ამ ლექსის შინაარსი. მწარე სინამდვილეა და განათლებული კაცობრიობის ვალია ებრძოლოს ამ ბოროტებას.

მაგრამ არც ის ვარგა, რომ სინამდვილის მარტო ერთი მხარე აღინიშნოს და გლეხის ცხოვრებაში სიკვდილის მეტი ვერა დაინახო-რა.

კაცს ერთი შესანიშნავი ნიჭი აქვს—მისი ბუნება გარესკნელს ადვილად ურიგდება.

კაცი რომ განსაცდელში ჩავარდება, მოულოდნელად ისეთ სულიერ წონასწორობასა და გონიერებას გამოიჩენს ხოლმე, რომ თვისი საქციელი შემდეგ თვითონვე უკვირს.

გავემეორებ: კაცი ადვილად ეჩვევა ყოველსავე გასაჭირს და ხშირად გლეხის შვილი უფრო ადვილად იტანს ღარიბი ქოხის ცივ ჰაერს, ვიდრე მდიდრის შვილი თბილი ოთახის გამანებივრებელ ჰაერსა.

მართალია, გლეხის ოჯახში უფრო ულმობელია ეგრეთწოდებული ბუნებრივი შერჩევა მაშასადამე მათ შორის მეტი იხოცება სუსტი და ულონო, მაგრამ მაგიერად [illegible] ათსავე შორის უფრო ჯანმრთელი და ღონიერები იზრდებიან.

არავინ იფიქროს კი რომ ამგვარ მდგომარეობას სიკეთედ აღვიარებდე. პირიქით, უკიდურეს გაჭირვებას ბუნებრივი შერჩევაც კი ვერ შველის და შედეგად ერის გადაგვარება მოსდევს. ამგვარივე განმანადგურებელი გავლენა აქვს მდიდრულ ცხოვრებას, ფუფუნებას.

ასე არ უნდა იყოს, სახელმწიფო მოვალეა მოსპოს უკიდურესობანი და გლეხი და მუშამ ადამიანური ცხოვრებას უფლება უნდა მოიპოვონ.

მაგრამ ეს უცებ არ მოხდება. და თუ კი მართალია რომ დღეს ხალხი ამოწყვეტის გზას დასდგომია, უეჭველია, რომ ის ვერასოდეს ვერ მოესწრება რეფორმებს, როგორც იასი ვერ მოესწრო გაზაფხულს.

კიდევ ვიტყვი: იმას კი არ ვამბობ, გლეხი სანატრელ მდგომარეობაშია თქო. პირიქით, მისი გაჭირვებიდან უკიდურესი მდგომარეობიდან გამოსვლის აუცილებლობა ჩვენი სოციალპოლიტიკური მსოფლმხედველობის ქვაკუთხედს წარმოადგენს.

მაგრამ გლეხის ცხოვრებაში თუ სიკვდილის მეტი ვერა დავინახეთ-რა და სიცოცხლის ალღოს ძლიერება და გამარჯვებაც ყურად არ ვიღეთ, უსაზღვრო სასოწარკვეთილების უფსკრულში გადავიჩეხებით და ეგრეთწოდებულ სოციალისტურ პესიმიზმში ჩავარდებით.

ლექსში „სასამართლოს წინაშე“ კონოპნიცკაიას დასურათებული ჰყავს საცოდავი ობოლი, რომელმაც თავისი მდგომარეობის გამო არ იცის, რა არის კარგი და არ არის ავი, და შეუგნებლად ჩაიდინა ბოროტ-მოქმედება.

სათეატრო ქრონიკა

ვარის, 17 ნოემბერს ქალაქის ...ში წარმოდგენილი იქნება ნორვე... მწერლის პიესა მურღუთთა ცხოვ-...ან „ნაკოტრება".

—

...ქართული დრამის რეპერტუარი. ამ ... ხანში წარმოდგენილი იქნება შემ... პიესები: ისტორიული კომედია ვა-... ბრველის „გამარჯვებული", კოლი-... „ბრძოლის ველი", შალვის— ...ის დედოფალი", სოიოლიშვილის ...ლის მეჭვეიოე", პოტაპენკოს— ...ოდ ძლიერნი".

—

...ო მომავალში განზრახულია ბენეფი-... მსახიობი ნინო დავითაშვილისა.

—

...მსახიობთა ავადმყოფობა. ადგილობრივ ...ის მოუწყობლობამ თავისი ჰქმნა. ...ად მწოლიარე ავად არიან ქ. ელო ...ონიკაშვილი და ანდრო მურუსიძე; ...ა დადიანიც მეტად შეუძლოთ არის, ...ჯერ ხანათ მაინც განაგრძობს მუ-...ობას.

—

...იანვარს ბენეფისი ანდ. მურუსიძისა.

...მღვდელოების კრება.

...ა წლის 18 იანვრიდან, ქუთაისში ...ნება იმერეთის სამღვდელოების საე-...ო კრება სასულიერო სასწავლებ-... შენობაში. განსახილველია შემდეგი ...ები: ა) განაწილება ულარიბეს კრე-...თა შორის 14,361 მ. 28 კ. 1 იან-...დან 1915 წლისა. ბ) სასულიერო სე-...რიის გახსნა ქ. ქუთაისში ამ წლის ...დან. გ) განხილვა ხარჯთ-აღ-...ხვის დაანგარიშისა ვაჟთა და ქალთა სასულიერო სასწავლებლებისა. დ) საეპარ-...ო სანთლის საწყობი. ე) სამღვდელო-...ის სამარხი კასა. ვ) ადგილობრივ პირო ...სამებრ შეცვლა მედავითნეთა სკოლ-...ს წესდებისა და სხ.

...ვენის ფიქრით, უპირველესად ყოვლი-...ა მოუცილებელი საჭიროა დაარსდეს ე. ...კრების წინასწარი კომისია предсѣда-...ая комиссія) ისეთივე, როგორც დიდი ...ნი არაა. რაც ქართლ-კახეთის ეპარქია-...ში, ეს კომისია გაუადვილებს და დააჩქა-...რებს მუშაობას კრებაში, განიხილავს კრე-...ბის მასალებს, შუამდგომლობებს, დაალაგებს ...თის-თვის ადგილას და მზა-მზარეულს წარუდგენს სამღვდელოებას, რომელსაც ...ი დასჭირდება დეტალური განხილვა და ...ნ-დაწონა ამ მასალებისა.

...სასულიერო სემინარია დიდი შეძენა ...და იყოს ახალგაზრდა საქართველოსათვის ...რამ ეს სემინარია ისეთ პირობებში და ...დაგზე უნდა დადგეს ამ თავითვე, რომ ...ვეტყველი სამდრო და სასარგებლო და ...ეულო სასწავლებელი იქმნეს, თორემ ...ტო სახელი ვერას შეგვძენს ჩვენ, ისე, როგორც ალავერდის კათედრის აღდგე-ნა. ალავერდის კათედრა რომ აღდგინ-დეს და უმნიშვნელობა თავიდანვე დაჩემ-დეს მას, ეს ვერაფერი სანუგეშოა. „ზე-რი ქედანივით თუ ბოლოში მოიგდეს", ძალა და უფლება კი არსად და არასოდეს ექნა რა კათედრა იქნება იგი!..

ასევეა სემინარია. სემინარია უნდა ზრდი-დეს ქართველ მწყემსებს და არა ჩინოვ-ნიკ მღვდლებს. თუ გვინდა ჭეშმარიტი მოძღვრება, ამისათვის საჭიროა ქართულ ენაზე ისწავლებოდეს სღვთისმეტყველო

აბა რა გამოსადეგი იქნება ბერძნული და ლათინური ენების გაკვეთილები გაამ-რავლონ და ქართულ ენას კი ადგილი არ დაუთმონ საგნებს შორის აი ამ მხა-რეს უნდა მიაქციოს ყურადღება სამღვ-დელოებამ და რაც შეიძლება, მრუდე გზას ააცილოს ეს სპეციალური სასწავ-ლებელი. როგორც სამართლიანად აღნი-შნა საუბარში ერთმა საპატიო პირმა ჩვენ-თვის მკვდარი კლასიკური ენები,—ბერძ-ნული და ლათინური გამოუსადეგარია, ხოლო თუ ვისმე სურს გამოიყენოს ეს ენები და ფილოლოგი გახდეს რომ სავ-სებით შეიგნოს ბიბლიის ენა, არც ესაა ძნელი. ასეთი თითო ოროლა პირი ყველ-გან გამოჩნდება და უნარს გამოიჩენს თუ მოისურვებს.

საეკლესიო სანთლის საქმე დასაფიქრე-ბელია ამჟამად. ეს სანთელი იყო ერთად ერთი წყარო, რომელიც აკმაყოფილებდა მრავალს მოთხოვნილებას სამღვდელოებას. ამ სანთლის მოგებიდან სასწავლებლებს ეძლეოდა შემწეობა, უმეტეს ნაწილად. იმერეთის სანთლის ქარხანა დაარსდა ნე-ტარხსენებულის გაბრიელ ეპისკოპოზის თაოსნობით. 1896 წ. ცალკე წესდება შეადგინეს. ამ წესდებაშია: საზოგადო დებულებანი, საეპარქიო კრების, მოწეს-რიგების, საეკლესიო კრებულთა და მნა-თეთა დამოკიდებულობა ურთიერთს შო-რის, ქარხნის გამგეობა, კომიტეტის მო-ვალეობა საზოგადოთ, კერძოთ მოვალეო-ბანი კომიტეტის წევრებისა, თავმჯდომა-რისა, მოლარესი, მდივნისა და ზედამ-ხედველისა ეს წესდება შეიძლებოდა შე-ცვლილიყო სამღვდელოების სურვილისა-მებრ და გარემოებისა და გამოცდილების მიხედვით. ხელმძღვანელობდა თუ არა სამღვდელოება სანთლის წარმოების საქ-მეში ამ წესდებით, არ შეიცვალა რამე მასში თუ არა ნაკლებად ვიცით ჩვენ. ეს კია ყოველ ასეთს დიდს ოპერაციის რაიმე განსაზღვრულს წესით.

რამდენათაც ვიცით სანთელი გაძვირდა ძლიერ, აქნამდი თუ მანეთი იყო, ახლა ორი მანეთია გირვანქა, ასე რომ ვეღ რა-ფერს იგებს იგი. გაძვირებას თავისი მი-ზეზი აქვს, რასაკვირველია. როგორც სხვა საჭირო საგნები გაძვირდა, ისე სან-თლის ფასმა აიწია. საზღვარ-გარეთიდან სანთელი აღარ შემოდის, ჩვენში კი მეფუ-ტკრობა ნაკლებათაა გავრცელებული და პირველყოფილ მდგომარეობაშია. სანთლის ასეთმა კრიზისმა ყველასაგან ყურადღება მოითხოვა. უწ. სინოდმა დანიშნა კრება საეკლესიო სანთლის საქმის შესახებ პეტროგრადში. სამღვდელოებამ რამე ღონე უნდა იხმაროს ამ საქმის კარგ ღო-ნეზე დასაყენებლად, თუ უნდა ეს ერთად ერთი საიმედო, უტყუარი წყარო არ დაუ-შრეს.

სამედავითნეო შკოლის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ აქნამდისაც უნდა ეზრუ-ნა სამღვდელოებას კარგი მედავითნეების მომზადების შესახებ. ყველასათვის საან-ბანო ჭეშმარიტებაა, რომ ესტეტიკას ერთ ერთი დარგი მუსიკა ყურთა სმენას უტ-კბობს ადამიანს, ამაღლებს სულიერად და ლოცვა ვედრებისაკენ იზიდავს. სადღაა ჩვენს ეკლესიებში გალობა, კაზმვა. გულ შემზარავი ლილინი უთავბოლო კითხვა დავითნისა მლოცველს სასოებას უკარგავს და ყოველივე ეკლესიებს უცრუებს ლტო-ლვილებს. ბ. ფოცხვერაშვილის არ იყოს, დროა მივიხედ-მოვიხედოთ, საეკლესიო მდგომარეობა გვაუმჯობესოთ, გადავიდოთ ნოტებზე, თორემ იკარგება თან და თან. ჩვენ რომ გვკითხოს ვინმე სამედავითნო სკოლები უნდა გაიხსნა ისეთს პირობებში რომ იქიდან კურს დასრულებულებს შე-ეძლოს კითხვა გალობა რიგიანად, კანო ნიერად ძველი კითხვა-გალობისა სავსე ბით უნდა აღდგენდეს. ამისათვის კი საჭი-როა გალობის ზედ მიწვენით მცოდნე პირების ხელმძღვანელობა, როგორიც არიან მაგ. ბ. ფოცხვერაშვილი, მ. რ. ხუნდაძე და სხ. აწმყო და წარსული უნდა გადაიბას ერთი მეორესთან, თუ გვინდა ბოლოს არ ალიგვოს დედა მიწის ზურ-გიდან.

ამ კრებამ უნდა განიხილოს და დაად-გეს გარკვეულ გზას: შესახებ საეკლესიო საბუთების ქართულ ენაზე წარმოებისა; ერთ დროს დაეკითხენ მღვდლებს შეგიძლიათ თუ არა საბუთები რუსულ ენაზე აწარმოვოთო? არა მკითხე ზოგიერთს სულიერს მამებს ეგონათ მოდი გამოვჩინოთ თავი და მო-ვახსენოთ აპა რილასი მღვდლები ვართ თუ რუსული არ ვიცითო! დაადგენ გა-უკუღმართებას. ახლა კი აჭრელებულა ეს საბუთები: ზოგან რუსულად, ზოგან ქართულად იწერება. მ. ფარცხნალეულის არ იყოს ერთიც შემატეს ეკლე'იას. მე-ტრიკები რუსული იყოსო. აქნამდი თუ იწე-რებოდა ქართულად, ახლა რაღა ცოდ-ვა გაგიდიდდა!?

თუ არ მოუშლიათ მაინც და მაინც რუსულ-ქართული წარწერები მაინც გა-უკეთონ.

გადაგვარების ნიშნად მიგვაჩნია ჩვენ აგრეთვე ბრძანება ბავშვის სახელების დარქმევას საქმეში. როგორც დაამტკიცა ისტორიკოს-არხეოლოგმა ბ. თ. დ. ჟო-რდანიამ საქართველოს ეკლესიას მეექვსე მსოფლიო კრებიდან ნება ჰქონია დაერ-ქმია მონათლულ ბავშვისათვის ყოველივე ნაირი სახელი გარდა კერპების სახელისა. ახლა კი ბორისი, ტიმოშკა, კაროლენა-გროვენა თუ არ დაარქვი და იქვე არ გა-წერე იმ სახელის მატარებლის მოსახსე-ნებელი დღეც, დაგაჯარიმებენ და თავ-ბედლვირს გადაგადენენ. რა ცოდვა უნდა იყოს ღვთის-წყალობა, უფლისა, ნათე-ლა ვარდო და სხვა ქართული სახელები რომ დაერქვას ბავშს?

ამის შესახებ მშვენიერი წერილი დას-ტამბა „საქართველოში" პატივცემულმა მ. კ. კეკელიძემ. სამღვდელოებამ ამოი-ღოს ხმა ამის თაობაზე და მტკიცედ მო-ითხოვოს, ვისგანაც ჯერ არს, ნება მიე-ცეს საქართველოს ეკლესიის შვილთ და-ერქვას, სხვათა შორის, ქართული სახე-ლიც, თუნდაც ეს სახელი „Святц"ებში არ ეწეროს.

სამღვდელოებას სხვა საამდროო, მომ-წიფებულ კითხვებზეაც შეუძლია იქოს-ნიოს სილი მსჯელობა და გაიცნოს და-დგენილობა, თუ მოისურვებს და მოქა-ლაქობრივ გამბედაობას გამოიჩენს.

ჭ. ღძელი.

წმიდა ნინო*.

I.

როდესაც გულ დასმით და დაკვირვე-ბით გადავავლებთ თვალს საქართველოს წარსულს. დავინახავთ ადამიანის შემოქმე-დების, მისი კულტურის ყოველივე დარ-გის ჩინებულ წარმომადგენლებს, ამ დარ-გის, კულტურის სულისა და გულ, მის სისხლისა და ხორცს და მის სულის კვე-თებას. მაგალითად ფილოსოფიის წარმო-მადგენელია იოვანე პეტრიწი, ფილოსო ფოსი, მწერლობისა-გიორგი და ეფთიმე მთაწმიდელნი, შავთელი, ჩახრუხაძე, პო-ეზიისა-შოთა რუსთაველი, ილია ჭავჭა-ვაძე, აკაკი წერეთელი, იურისპრუდენ-ციისა ათაბაგანი: ბექა და აღბუღა, მეფე ვახტანგ VI სჯულ-მდებელი, მუსიკის-მი-ქელ მოდრეკილი, მჭერ-მეტყველების, რიტორიკისა ჭყონდიდელი, გაბრიელ ეპი-სკოპოზი, დიპლომატიისა და პოლიტიკი-სა-დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ირაკლი II, სამხედრო სტრატეგიისა-გი-ორგი სააკაძე, დიდი მოურავი, თორნიკე ერისთავი, ხოლო სარწმუნების მქადაგე-ბელნი კი-წმიდა ნინო, მოციქულთა სწო-რი და ცამეტი ასირიელნი მამანი და სხვანი.

ასეთი პირნი არიან ჭკვიდ ბუნოვანნი, ბუმბერაზნი, სწორ-უპოვარნი, თვის იდეის ღრმად მცოდნენი ცხოვრებაში გამტრე-ბელნი. ეს პირნი ყოველთვის და ყველ-გან მხნედ და უშიშრად დაატარებდენ თვის მიზნის დროშას, არც ერთხელ არ გაუტარებიათ გულში მათ თავიანთ სწრა-ფვა ლტოლვილებისათვის ღალატი, თუნ-დაც ამისათვის თავის დადება რგებოდათ წილად, ისინი წინ და წინვე იყვნენ გა-მსჭვალულნი თავიანთ არჩეულ საგნები-სადმი უსაზღვრო სიყვარულით, სწამდათ და მტკიცედ ადგენ ერთხელვე არჩეულს გზებსა. ამისათვისაც იყო, რომ ისინი კვალს აჩენდენ განვლილ ასპარეზზე და, რაც დრო და ჟამი გადიოდა და გადის მით უფრო ფასი ედებოდა და ედება მათს შემოქმედებას, მოქმედებას, ქველობას, მით უფრო შარავანდედით, ვამკობთ, იმ-სებოდენ და იმსებიდენ და საშვილო შვი-ლო სათაყვანებელ არსებად ხდებოდენ და რჩებოდენ.

ჩემის საუბრის საგანს შეადგენს საქარ-თველოს ისტორიაში ერთ-ერთი კულტუ-რის მატარებლის დასურათ-ხატება, მისი სიგრძე-სიგანით, მისი ანითა და ჰონითა. ეს ეპოქაა მეოთხე საუკუნის დასაწყისი ქრისტეს დაბადების შემდეგ. ... შვენებაა ამ მხრივ წმიდა ნინო ... განმანათლებელი და მოციქულთა სწორი.

როდესაც ვინმე ისტორიული პირის ღვაწლის აღწერას შეუდგებიან საზოგა-დოთ იმავე დროს გათვალისწინებული აქვთ ამ პირის მოღვაწეობამდე წარსული ხანა და ის ნიადაგი, რომელზედაც აშენებუ-ლია მისი სიძველე. ჩვენც აზრად გვაქვს, შეძლებისადაგვარად, რასაკვირველია აღ-ვსწეროთ რას წარმოადგენდა წმ. ნინო-მდი ქართველების სარწმუნოება?

რა არის სარწმუნოება, ანუ რელიგია საზოგადოთ სარწმუნოება, ანუ რელიგია არის განსაკუთრებული დამოკიდებულება ადამიანისა უზენაეს არსებასთან, ანუ უდი-დეს ძალებთან, რომლებსაც იგი თაყვანსა სცემს. ამასთანავე ეს თაყვანის ცემა,— გრძნობით იქნება იგი თუ სულიერი, წარ-მოადგენს მარწმუნებელ ადამიანისათვის უპყველს რეალობს იმ უზენაეს არსებასა, ანუ უდიდეს ძალებისადმი, რომლებსაც პატივსა სცემს, ადამიანი. აქედან წარმო-სდგება სარწმუნოება კულტის და ღვთაების წარმოდგენათა სისტემაში გამონასკული. სარწმუნოებაც მეცნიერებაა. ეს მეცნიერე-ბა მეცხრამეტე საუკუნეში დამუშავდა. ამ მეცნიერების წარმოდგენით არის რე-ლიგია ბუნებრივი, ანუ რელიგია გონე-ბისა, რომელიც გონებიდან წარმოსდგება, ანუ-წარმომდგარი კავშირისა და ადამი-ანის ბუნების განცხადებას უარ ჰყოფს. ამას გარდა არის კიდევ განცხადებითი, პოზიტიური რელიგია, რომელიც აშენე-ბულია ცნობილი ისტორიულს ელემენტებ-ზე. გვეელს აქვს შემდეგი სქემა რელი-გიისა; I ბუნებრივი რელიგია და II სუ-ლიერი ინდივიდუალობის რელიგია.

ბუნებრივმა სარწმუნოებამ სხვა და სხვა ერში სხვა და სხვა ნაირად იჩინა თავი.

საქართველოში ქრისტიანობის შემო-ღებამდი მაზდეიანობა, ანუ ცეცხლის თაყ-ვანის მცემლობა იყო გავრცელებული. მაზდეიანობა იყო დამყარებული მზისა, დედა-მიწისა, ცეცხლისა და წყლის გა-ღმერთებაზე. ამ ოთხს სტიქიონს იგი წმი-დათ სთვლიდა; ამიტომ მათი შეხებაც არ შეიძლებოდა. ქვეყნიერების სფეროს უზენაეს სამფლობელოს შეადგენდა. ერთი იყო კეთილი ღვთაება, რომელსაც აჰურა-მაზდა (ორმიზი) ერქვა, მეორე კი, მისი მეტოქე, ბოროტების ღვთაება და დედა ანგრა-მაინიუ (აჰრიმანი). მთელი სოფე-ლიც უზენაეს ღვთაებათა ბოროტ და კე-თილ არსებათა და ბუნებისაგან შედგე-ბოდა. ადამიანის სული მაგალითად, წმი-და სულით ითვლებოდა, ადამიანის სხე-ული კი ბოროტ ბუნების ნაშენობა; იყო ცეცხლის თაყვანის მცემლობა სპარსელე-ბის ეროვნულ სარწმუნოებად ითვლება. სპარსეთიდან ეს სარწმუნოება მეზობელ საქართველოშიც გავრცელდა (ქართველი ერის ისტორია ივ. ჯავახიშვილი).

(შემდეგი იქნება).

---

* წაიკითხა ავტორმა ზესტაფონის საკრე-ბულო დარბაზში 14 იანვარს 1916 წ.

...ერთს თავის მოთხრობაში ავტორი ...უროთებს სოფლის ბიჭებს, რომელთაც ...იმშილის გამო ვინლაც გაეძარცვათ.

ამ პატარა ბოროტმოქმედთა ეკონო-...ური უმწეობა და სულიერი მდგომარე-...ბა უნაკლულოდ არის გამოხატული.

მშვენიერად აქვს დასურათებული აგ-...ვე „თავისუფალი მუშის" უბედობა ...ქალაქის პროლეტარის ცხოვრების სა-...ელება.

და კონოპნიცკაიას მოთხრობათაგან სა-...ოგადოდ ის დასკვნა გამომდინარეობს ...ომ ქვეყანად ბოროტებაა გამეფებული, ...ლარიბებს თანაგრძნობის წილ გულში ქვა ...დევსთ და მთელი კაცობრიობა კაინთა ...ომეულს წარმოადგენს („ო, კაცთა ნა-...სო.")

ბოროტება ისე დიდია რომ ღარიბნი ...ოლოდ მაშინ არა სტირიან როცა სძი-...ავთ. ურჩევნიათ არ გაიღვიძონ.

და, პოეტის ჩანგი თუ მკვნესარე ხმებს ...ოსცემს, მიტომ რომ ცხოვრება ეკლით ...ილია და ია და ვარდი თითქმის არ-...დ მოიპოება.

მაგრამ, თუ ასე დიდია ბოროტება, ...ოლა უნდა ვსცეთ ნუგეში კაცობრიო-...ას? ნუ თუ უნდა დავყაროთ იარაღი და ...ვურიგდეთ ბედს?

არა, რადგან ბოროტება ბედნიერებით ...იცვლება, სამოთხე ამ ქვეყანადვე დამ-...ყარდება.

მაგრამ როგორ? რა გზით? ჩვენ უნდა ...ვიბრძოლოთ რომ განვთავისუფლოთ მძიმე ...ღვრთისაგან მომავალი თაობა. ჩვენ ...ვხვდა წილად ბრძოლა და ვაალი, ჩვე-...ნმა შვილებმა კი უნდა მოიმკონ ბრძო-...ლის ნაყოფი.

როგორც ვხედავთ, ეს კატასტროფის ალსარებაა, ძველი სოციალიზმის დამახასი-ათებელი დოგმატია.

სამს დრამატიულ ნაწყვეტში, რომ ე ლიც 1881 წელს გამოვიდა, ის ქებათა ქებას უგალობს თავისუფალ აზრს. ალექ-სანდრიელი სწავლული ბერძნის მათემა-ტიკოსის თეონის ქალიშვილი იპატია გან-თქმულია, როგორც ფილოსოფიის მცო-დნე. და ფანატიკური ბრბო ძმათა მოძღ-ვრის ბერის წაქეზებით თეონის სახლში შეიჭრება და ჰკლავს იპატიას. საშუალო საუკუნეთა შესანიშნავი ექიმი და ანატო-მოსი ვეზალი იკვლევს ადამიანთა გვამებს. ბრბოს ეშინია ცოდნისა და ვეზალი კვდე-ბა ინკვიზიციის ბნელ საკანში.

გალილეი ინკვიზიციის სასამართლოში უშიშრად იცავს თავის მეცნიერულ რწმე-ნასა და იმეორებს: „მაინც ტრიალობს."

იგივე აზრია გატარებული „პრომეთე-თეოსსა და სიზიფში".

და კონოპნიცკაიას სწამს რჩე-ულთა ყოვლის შემძლებლობა. მას სწამს მაგალითად რომ კეთილსა და დიდ სულოვან მოღვაწეთ შეუძლიათ ხალხის სული გაანათლონ, ხალხი ძილისაგან გა-აღვიძონ. სწამს აგრეთვე აქტიური პოე-ზიის ძალა და პოეტებს პოეტებს ისე-თი საგალობლები იგალობონ, რომლენიც ხალხისათვის თავდადებულ მებრძოლთ გაამ-ხნევენ.

მასა სწამს, რომ თავგანწირული მებრ-ძოლნი და მოღვაწენი ქვეყნად ბედნიე-რებას დაამკვიდრებენ. სხვათა შორის ავ-ტორი დიდ როლს აკუთნებს სოფლის მასწავლებელთ.

მაშასადამე მისი ფიქრით რჩეულნი ამა სოფლისანი სხვერპლად უნდა შეეწირონ ხალხს.

და იმავე დროს აღიარებს, ხალხის გა-ღვიძება—ძნელი საქმეაო. „ჩემი გული, როგორც ზარი, ხალხის გამოსაფხიზლებ-ლად ხმაურობს, მაგრამ ამაოდ: ვერ გავა-ღვიძე მძინარე ძმები, სადაც არიან ჩემი ძმებიო", ამბობს.

მაგრამ სწამს, რომ მდიდრები თვი-თონვე გაუწოდებენ ღარიბთ ხელს. „ძმებოო, ეუბნება ის უკანასკნელთ,— კმარა, დავანებოთ თავი მტრობას, მო-გვეცით ხელი, თქვენკენ მოვდივართ, ჩვენ უფრო დამნაშავე ვართ და ამიტომ გვტკივა გულიო".

როგორც ჩანს, კონოპნიცკაია ძველის, ჯერ გამოურკვეველისა და ჩამოუყალი-ბებელი სოციალიზმის წარმომადგენელია და მის მსოფლმხედველობაში ბევრი შე-ნაგანი წინააღმდეგობა სუფევს.

მას სწამს სხვერპლნი, გმირები, რჩე-ულნი და თავისი რწმენის გასამართლებ-ლად ისტორიას იმოწმებს. მაგრამ მეც-ხრამეტე საუკუნე მით განსხვავდება ქრის-ტიანობის პირველი ხანისა და თვით გა-ლილის დროისაგან, რომ არა თუ სოცია-ლურს, არამედ სამეცნიერო მოძრაობა-საც კი დემოკრატიული ხასიათი აქვს.

ჩვენცა გვწამს სხვერპლი, დიდი პიროვ-ნებანი და მათი მნიშვნელობა, მაგრამ მეორე მხრით აღვიარებთ რომ არა თუ დღეს, არამედ ძველადაც კი ყოველი დიდი სოციალური მოძრაობა—დემოკრატიული არის დაყოფილა.

და შემცდარია ის აზრი, ვითომ ხალ-ხის გაღვიძება მარტო ჩვენ, ე. ი. ინტე-ლიგენციას, შეგვიძლია. ხალხი თვითონ იღვიძებს, ევოლიუციის კანონი მასაც იმგვარადვე მიაქანებს წინ, როგორც ჩვენ.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულის შე-სანიშნავი ფილოსოფოსი და ენციკლოპედისტი ადამ სმიტი ამბობს: საშუალო საუკუნეთ, ცრუმორწმუნეობა მარტო მეცნიერთა წრემ კი არ მოსპო, არამედ თვით ხალ-ხმა. ვაჭრობა-მრეწველობის მეოხებით ხალხი თანდათან განვითარდა და თავი-სუფალი მოაზრე შეიქნა. და, ასე რომ არ ყოფილიყო, ვერავითარი ძალა ვერ მოსპობდა სასულიერო წოდების ძალასა და ბატონობასო.

და, თუ აზრისა და. მაშასადამე მეც-ნიერების განთავისუფლებისა და განვი-თარებისთვისაც კი საჭირო იყო დემო-კრატიული, მასსიური მოძრაობა, მით უფ-რო საჭირო უნდა ყოფილიყო იგი—პო-ლიტიკურისა და სოციალური განვითარე-ბისათვის.

არავინ იფიქროს კი, რომ რჩეულ პი-როვნებათა მნიშვნელობასა უარვყოფდეთ. პირიქით, ისინი თითოეული ახალი აღ-მოჩენისა და მოძრაობის წინამორბედნი არიან და უმათოდ, ვინ იცის, ისტორიის ჩარხის ტრიალი იქნება კიდევაც შეჩე-რებულიყო. მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ ისტორიის მეორე მხარეც უნდა ყურად ვიღოთ, ე. ი. დემოკრატიის, მასსის, თანდათანობითი განვითარება, ევოლიუ-ცია. რომლის გარეშე შეუძლებელია კა-ცობრიობის წინ-სვლა.

და ინტელიგენციისა და ხალხის ურ-თიერთობა ისე კი არ უნდა წარმოვიდ-გინოთ, ვითომ ხალხს სძინავს და ინტე-ლიგენცია აღვიძებს, არამედ ამ გვარად: თანამედროვე ცხოვრება წარმოადგენს გამომაფხიზლებელ ბიძგს, რომელიც ტრა-დიციული ძილისგან მარტო ინტელიგენ-ციას კი არა, ხალხსაც აღვიძებს და მა-შასადამე ორსავე ერთისადაიმავე მიზნი-საკენ მიაქანებს. და, ამ მიმდინარეობაში თუ ინტელიგენცია, როგორც უფრო მზატე, წინ მიდის, ეს იმას არ მოასწა-ვებს, რომ ხალხი გაჩერებული იყოს.

მეორე მხრით წინმიმდინარე ინტელი-გენციას შეუძლია დააჩქაროს ხალხის წინ-სვლა. ამაშია მისი ისტორიული დანი-შნულება.

მაგრამ რა გზით? მხოლოდ იმ გზით, საითკენაც თვითონ ხალხი მიდის. მაშა-სადამე ინტელიგენციამ უნდა მიაშველოს ხალხს რეალური, განსახორციელებელი სოციალური ორგანიზაციის იდეალი და არა უტოპიური, რომელსაც ცხოვრებას-თან საერთო არა აქვს-რა: მხოლოდ მა-შინ იქნება მისი შრომა ნაყოფიერი.

როგორც ვხედავთ, კონოპნიცკაიას ხალხის გარეშე მდგომი წრეების იმედი უფრო აქვს, ვიდრე თვით ხალხისა, დე-მოკრატიისა. ხალხი, რომელიც მას ასე ძლიერ უყვარს, მისი ფიქრით სამა-რადის ძილით არის შეპყრობილი. მეორე მხრით ის ხალხის ცხოვრებაში მხოლოდ უბედურებასა ხედავს. და, თუმცა მომა-ვალი სამოთხე სწამს, მაგრამ დღეს მთე-ლი კაცობრიობა კაინთა ბრბოდ მიაჩნია.

და იმდენად ღრმა და უსაზღვრო მი-სი პესიმიზმი, რომ მისთვის თვით ბუნე-ბის მშვენიერებასაც კი აქვს ფასი, და ასე გასინჯეთ მას დიდებული მთების მწვერვალთა მშვენიერი სანახაობა და ჰა-ლაკთა ტურფა საგაზაფხულო მირთუ-ლობაც კი ვერ ხიბლავს, რადგან, მისი ფიქრით, ბუნება გულგრილია ღარიბთა უბედურებისადმი.

ამგვარად კონოპნიცკაიას პესიმიზმი შედეგია ავტორის ცალმხრივი შეხედუ-ლობისა. ის ხედავს ცხოვრების მხოლოდ ერთს, უმთავრესად უარყოფითს მხარესა და სინამდვილეში ვერაფერს სანუგეშოს ვერა ჰპოვებს.

ამგვარია ძველი რადიკალიზმი, ან სხვა გვარად რომა ვთქვათ, გამოურკვეველი, უფორმო სოციალიზმი.

[illegible] წერეთელი.

45

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლის ველიდან.

1915 წლის 25 დეკემბერს, ავსტრო-გერმანელების საზღვარზე, მომქმედ ჯარში მყოფი ექიმი ვიქტორ ხუსკივაძის მეთაურობით, ფერშალ მეუნარგიას, ანთიმოზ თევზაძის, ფირცხალავასა და სხვ. მონაწილეობით, მეორე საარტილერიო პარკში გაიმართა ქართული წარმოდგენა. წარმოადგინეს ორ მოქმედებიანი პიესა „ბუტიაობა“, რომელიც დაბოლოვდა დოლის დაკვრითა და ლეკურით.

წარმოდგენამ მშვენივრათ ჩაიარა, არამც თუ სამშობლოზე მოწყვეტილ ქართველ ჯარის კაცებში, არამედ რუსებშიაც კი ალტაცება გამოიწვია. როგორც მეორე, ისე პირველ პარკში მყოფი ქართველი ჯარის კაცები დიდ მადლობას სწირავენ წარმოდგენის როგორც მომწყობ-მეთაურს ვ. ხუსკივაძეს, ისე წარმოდგენაში მონაწილეობის მიმღებთ, რომელთაც საშუალება მიეცა ერთი წუთით მაინც დაგვევიწყებია ჩვენი დარდ-ვარამი და მხიარულათ ჩაგვეტარებია ყველასათვის დიდებული დღე ქრისტეს შობისა.

ჯარისკაცი **კირილე კახრეიძე.**

პასუხად ბ-ნ სილოვან ხუნდაძეს.

მრავალ ნიჭთან ერთად ბ-ნმა სილოვან ხუნდაძემ ერთი ახალი ნიჭიც გამოაჩინა. მას შესძლებია სახელ-ნაცვლების გახსნა და ამა თუ იმ წერილის დამწერის ვინაობის გაგება, რაც ერთგვარ მარჩიელობასა ჰგავს.

დიახ, ბატონებო, კ—ა მე, იაკობ ცინცაძე, გახლავართ და ვწუხვარ, რომ პირდაპირ არ მოვაწერე ჩემი სახელი და გვარი და ბ-ნ სილოვან ხუნდაძეს მკითხაობა დავაწყებინე.

ეხლა მე მინდა პასუხი გავცე ბ-ნ სილოვან ხუნდაძის აბდაუბდას, მაგრამ არ ვიცი, ღმერთმანი, საიდან დავიწყო.

არიან ისეთი ავადმყოფი ადამიანები, რომლებთანაც ქრისტიანული ლაპარაკი არ შეიძლება. არც ტვინი აქვთ ისე მოწყობილი, რომ გაიგონ შენი ნათქვამი და არც გული აქვთ ისე მომართული, რომ იგრძნონ სიმართლე და ჭეშმარიტება.

ერთი ასეთ ადამიანთაგანი არის ცნობილი **სილოვან ხუნდაძე**, ეს ფრანცმოთარი ჩვენის მწერლობისა და თავისებური მკვლევარი ჩვენის ენისა!

დაწყებული იმ დღიდან, როცა ბატონმა სილოვან ხუნდაძემ „ივერიის“ რედაქციას გამოუგზავნა თავისი „მყრალი წერილი“*) და გათავებული იმ ლანძღვა-გინებით, რომელიც მან უძღვნა სულთმობრძავ არჩილ ჯორჯაძეს,—ბ-ნ სილოვან ხუნდაძესთან კამათს ყოველთვის ვერიდებოდი ხოლმე, მაგრამ მოთმენასაც თავისი სამზღვარი აქვს, მით უმეტეს, რომ იგი არ მინდობს და ჩემს პიროვნებას მიწასთან ასწორებ. რათა მე მისი საბუთი არ მიმიცია.

ეს ოცდა ათი—ოცდახუთმეტი წელიწადია, რაც ბ-ნი სილოვან ხუნდაძე ილანძღება ჩინებულათ, სწერს უხეირო ლექსებს და გვიქებს თავის დიდათ სადავო „გრამატიკას“ რომელმა გრამატიკამაც ჯვარს აცვა რამდენიმე თაობა და ვერც ვერაფერი ასწავლა!....

მე ამას სრულიად გულმშვიდათ მოგახსენებთ და არა რაიმე გაბოროტებით ბ-ნ სილოვანის წინააღმდეგ.

შური და მტრობა, გაბოროტება და ავათმყოფური თვითმოყვარეობა, ღვენა და გაუმაძღრობა სილოვანისებური ხელობაგულის თქმაა და ტყვილათ ჰგონია ბ-ნ სილოვან ხუნდაძეს, რომ მე თუ ის არ ვაქე და არ ვადიდე ბ-ნ გორგაძის რეფერატის შესახებ ანგარიშის დაწერის დროს, ეს იმიტომ, რომ გიმნაზიიდან ჩემს დათხოვნაში „მეც მიდგას ფეხი“ (რა ქართულია!) ჯერ-ერთი, რა ნება ჰქონდა ბ-ნ სილოვან ხუნდაძეს თვით დათხოვნილსა და სამსახურიდან გაძევებულს, ჩემ დათხოვნაში „ფეხი ჩაედგა“ და მეორეც ერთი, რა შუაშია აქ ჩემი „დათხოვნა,“ როცა ლაპარაკი ბ-ნ გორგაძის რეფერატს შეეხება.

მას შემდეგ რაც ბბ-ნმა სერგო გორგაძემ და ფეკოლ ბერიძემ მთელის ძლიერებით დაასამარეს ბ-ნ სილოვანის „ფონეტიკური და კეთილხმოვანების პრინციპები“ და კრინტიც ველარ დაძრა მათ წინააღმდეგ „მეცნიერმა“ სილოვანმა, განა არ შემეძლო აღმენიშნა ეს მოვლენა?

წავიდა, ბატონო სილოვან ხუნდაძევ, ის დრო, როცა თქვენ პირველობდით, როცა უძლური ქვეყანაში კატას აყეფებდენ და უქმო სოფელში ვირს ვარდისახარს ეძახდენ,—თქვენდა საუბედუროთ, ბ-ნო სილოვან, შვილებმა აჯობეს მამებს და ეს გარემოება ყველა მამას უნდა ახარებდეს, თუ რომელიმე მამა ბუნებით ბოროტი არ არის.

ბ-ნი სილოვანი პირიდან ცოფებსა ჰყრის იმიტომ, რომ კარგის სიტყვით მოვიხსენიე ვ. ბერიძე,—ეს ახალგაზდა მკვლევარი ქართულის ენისა, ეს მოწინააღმდეგე სილოვანის დახავსებულის პრინციპებისა.

რათა?

იმიტომ, რომ ბ-ნი სილოვანი ბოროტი მამაა და ჰშურს შვილის წარმატება. გამიგონია ხალხური თქმულება: „სვეტიცხოვლის ამშენებელმა ოსტატმა, მარჯვენა მოსჭრა თავისს შეგირდს, რადგანაც მასზე უკეთესი ჩუქურთმები გააკეთაო. თქვენც, ბატონო სილოვან, მზათა ხართ ცოცხლივ დამარხოთ ადამიანი, მარტო იმიტომ, რომ იგი თქვენზე ნიჭიერი და მცოდნე იქნება.

მე კი ისე არ ვუყურებ საქმეს. მე როგორც ქართველ კაცს, როგორც ქართველ მწერალსა და, თქვენდა საუბედუროთ ქართული ენის მასწავლებელს, ასე მგონია... ასე მწამს, რომ ყველას ღირსებისამებრ უნდა მიეძღვნას, პირადი მტერი იქნება იგი, თუ მეგობარი.

თქვენ მე მიკიჟინებთ სიგლახეს ბ. სილოვან, და რამდენათაც კი მე ვიცი, ათ წელიწადზე მეტი იქნება, რაც რიგიანი გაკვეთილი არ მიგიცაათ და არც არაფერი გისწავლებიათ რა ქართული მწერლობიდან. თქვენ ავადმყოფი კაცი ხართ, თქვენ თავს უფრთხილდებით და როცა თქვენ თვით არაფერს აკეთებთ, სხვას უკიჟინებთ შრომისმოყვარეობისათვის და უწუნებთ ცოცხალ გაკვეთილებს.

რომელი ზნეობრივის პრინციპის ძალით იქცევით ასე, ბატონო სილოვან, და ან აქ სად არის სამართალი?!....

იაკობ ცინცაძემ კინაღამ დაღუპა **ქუთაისის სახაზინო გიმნაზიის მისი მოწაფენი, რომელნიც მას ხელში წერასაც უკულმართად სწავლობდენ (სულაც არ სწავლობდენ და** კითხვასაცაო (დამიხედეთ მეცნიერულ ქართულს!.)

ნათქვამია, საყდრის კარი ღია იყო, ძაღლს ნამუსი არა ჰქონდაო! აბა, რითი უნდა დამიმტკიცოთ, ბატონო სილოვან, რომ თქვენ სტყუით უსინდისოთ, ვინაიდან არც მე მიცნობდით და არც ჩემს გაკვეთილებს, რადგან არც ერთ ჩემს გაკვეთილს არ დასწრებიხართ.

თქვენ, ბ—ნო სილოვან, დიდათ გათამამებული ხართ! მაგრამ, ვინც დაგიჯაჭნიათ და დაგიბრიყვებიათ თქვენის არა ადამიანურის მოპყრობით, ისევ ის დაიბრიყვეთ და ჩემთან კი ხუმრობა არ გამოგადგებათ!

რამდენჯერაც თქვენ ფილენჯები დაგმართოთ თქვენმა ავადმყოფობამ, იმდენჯერ, რომ მე გამლანძღოთ,—ამის ნებას არავის მივცემ!

აი, ჩემი გადაჭრილი პასუხი თქვენ უსინდისო ცილისწამებაზე.

თქვენ ბრძანებთ „ი. ცინცაძე წერა-კითხვას არ ასწავლიდაო“ მართალი ხართ. მე არც თქვენი აბდაუბდა გრამატიკისა და არც წერა-კითხვის მასწავლებელი არა ვარ, მე ვასწავლიდი და ვასწავლი **ქართულ ლიტერატურას**, და სრულიადაც მოვალე არ ვიყავ ანბანიდან დამეწყებინებინა სწავლება. **მეოთხე მეხუთე (და ზევით) კლასებში ბავშვები უკვე მომზადებულნი უნდა იყვნენ ქართულ-მართლწერაში და** თუ ეს ასე არ არის და თქვენგან მომზადებული ბავშვები უვიცნი არიან, ეს ისევ **თქვენი ბრალია და არა ჩემი.** ათი წლობითა და ოცი წლობით დამახინჯებულ ბავშვებს მე როგორ გამოვასწორებდი ორ წელიწადს? განა ამისი მოთხოვნა შეიძლება, თქვენ რომ ადამიანურათ ფიქრობდეთ და მსჯელობდეთ, თქვენ რომ **პედაგოგი** იყოთ? მაგრამ ნათქვამია,—ჩემი შენ გითხარ, გული მოგიკალი.

მე ამოვწერ ერთი მოწაფის რვეულიდან **თქვენგან** ნასწავლ ქართულს და თუ ამ ნიმუშის წაკითხვაც ერთი მაინც ვაამტყუნებს **ლიტერატურის მასწავლებელს** რომ ასეთ სისულელეების დაწერინებაში არ ავარჯიშებდა დროს თავის მოწაფეებს და მათ გონებრივათა ზნეობრივათ განვითარებას უფრო ცდილობდა. მაშინ თქვენი ხმალი და ჩემი კისერი! მაგრამ თქვენ იმდენათ ულირ ხართ, რომ აქაც არაფრისა არ შეგრცხვებათ.

აი, ბატონო სილოვან, თქვენგან აღზრდილი მოწაფის ნაწერიც.—აი როგორ გაგრძნეფიათ მართლწერაში თქვენი მოწაფენი, დიდო პედაგოგო და უებრო პატრიოტო!

„...ადამიანი შევადაროთ იმისანა ადამიან რომელიც მზათ არის კაცობრიობისთვის თავი შესწიროს ოღონ კი მცირე რამე შვება მოუტანოს კაცობრიობას. ის ადამიანი რომელიც სიკეთეს შვება, ის მინდღჩი არ ფიქრობს სახელისთვის, იმან იცის რომ სახელი თავის თავად მოვა და თავის სიკეთე მინდღჩი არ დაიკარგება, მაგალითათ თამარ მეფეს რამდენი კარგი საქმე გაუკეთებ, თუ როდისმე საქართველოს გაუხარია ეს თამარ მეფის დროს თუმცა, ის ქალი იყო მაგრამ იმან მაინც კარგათ დააყენა საქართველო მიტო ხატავს თავის უკვდავ სიტყვებში რუსთაველი „ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს თუგინდ ხვადია“.

ავიღოთ მაგალითათ კიდო ფილოკრატები არხიმედი და პასკალი და სხვები იმგენს ქონდათ მიზნათ რომ მიეღწიათ თავის იდეალს რამდენი ტანჯვა და წვალება გადაიტანეს იმგენმა დაბოლოს ხალხის ხელიდან მოკვდენ, და იდეალს თავი მსხვერპლათ მუუტანენ აი ამ სიტყვებში გამოიხატება (Великихъ нѣтъ, но подвиги ихъ живи) თუმცა იგენი შეასრულებდა მას და როგორც გაზრდილი ისე მოიქცოდა. ოთარიანთ ქვრივი თუმცა კარგი საქმეს შვრებოდა ბევრს გაჭირვებულს ეწვოდა მაგრამ რათ გინდა ისევ წაწყარებდა და მის მადლს პიმპილს მოაყრიდა. ამას და ამას ქრისტე კი არ გვიქადაგებდა, მაგრამ ცხოვრება მაშინ ამ გვარ პირობებში იდგა თუმცა ქრისტე არ გვიქადაგებდა ბატონ ყმობას მაგრამ მაინც იყო რისთვის მერე? მიტომ ოთარიანთ ქვრივს არ შეეძლო ტკბილი სიტყვა ეთქვა რადგან, წუთვრება და ქრისტეს მცნება სულ ეწინააღმდეგებოდენ ერთმანეც და სულ სხვა პირობებში იდგენ ერთმანეთთან და მაშაადამე მას არ შეეძლო ტკბილი სიტყვა ეთქვა ისე რომ პიმპილი არ დაეყარა რადგან ქრისტეს მცნება და ცხოვრების უთანხმობა მასთან ბევრი გავლენა მოახტინა კაცობრიობაზე.*)

ამ „თხზულების“ დამწერი გახლავთ მეშვიდე კლასის მოწაფე. ასეთ თხზულებებს სწერენ ცხრა მეათედი თქვენის მოწაფეებისა და ამის შემდეგ როგორა ბედავთ და როგორ მოითხოვთ ჩემგან სასწაულის ჩადენას! თქვენ დაამახინჯეთ, წაახდინეთ, გამოათაყვანეთ მოწაფეთა უმრავლესობა და მე კი მიკიჟინებთ არას ასწავლიდიო. სად არის თქვენი სიწითლე!

მაგრამ კმარა! თქვენთან მოლაპარაკეს რკინის თავი უნდა ჰქონდეს და თუჯის გული, თორემ ვინ გაუძლებს! ამიტომ ასე დავასკვნი ჩემ წერილს.

1) თქვენ, ბატონო სილოვან, ავადმყოფი კაცი ხართ და დასვენება გჭირიათ,—მასწავლებლობა თქვენ თვითონ აღარ ვარგახართ.

2) იმ დროს, როცა ოცი წლობით ქართული ენა ცუდათა გქონიათ დაყენებული, არავითარი ნება არა გაქვთ ორი წლის განმავლობაში მოითხოვოთ ვისგანმე ამ წახდარი საქმის უცაბედი გამოსწორება.

3) თქვენ არავითარი ნება არა გქონდათ დაგეწყოთ ჩემი ლანძღვა, როდესაც ჩემი წერილები ბ-ნ გორგაძის რეფერატის შესახებ სრულიად მიუდგომელი და სამართლიანია.

4) თქვენ ნება არ გქონდათ „ჩაგედგათ ფეხი“ ჩემ დათხოვნაში, როდესაც თქვენ თითონ გამორიცხული იყავით.

5) მე არა ვარ წერა-კითხვისა და მართლწერის მასწავლებელი, მე ვარ ქართული ლიტერატურის მასწავლებელი და არამც თუ თქვენ მოწაფეებს, არამედ თვით თქვენც, დიდ პედაგოგს, როცა გნებავთ დაგიმტკიცებთ და დაგისაბუთებთ, რომ თქვენ არ ხართ პოეტი და არც გემით თანამედროვე მიმართულებანი ჩვენის მწერლობისა.

6) მე დავამტკიცებ აგრეთვე იმასაც, რომ თვითონ თქვენ არ ვარგხართ მასწავლებელ-ლ[illegible]ათ და ტყვილათ აბანდებთ ქართული ენის კათედრის გიმნაზიაში.

მე დაგიმტკიცებთ რომ... მაგრამ კმარა.

რაც შეეხება, ბ-ნო სილოვან, ჩემ წერილში თქვენგან აღნიშნულ შეცდომებს მიმღია ჩემ თავზე და ვიცდები მეორეთ აღარ მომივიდეს ასეთი შეცდომები, თუმცა თქვენ უკვე დაბერებული მეცნიერი პედაგოგ—გრამატიკოს—პოეტი ჩემზე უარესს შეცდომებს აკეთებთ და გააკეთებთ კიდეც, რადგანაც თქვენ ასეთ შეცდომებს ზედ ერთვის თქვენი გულღრძობაც.

ია ეკალაძე-ცინცაძე. (იგივე კ—ა.)

---

*) „ივერიის“ რედაქცია ნაკლებათ უბეჭდავდა ლექსებს ბ-ნ სილოვანს და ერთხელ [illegible] გაეკრიტიკა. ამიტომ გულ მოსულმა სილოვანმა უწმაწური წერილი გაუგზავნა რედაქციას.

*) ამოწერილია სიტყვა-სიტყვით მოწაფის რვეულიდან.

რედაქტორ-გამომც. **ი. ცინცაძე.**

სად გაიგებთ ცნობებს მოკლულთა, უგზო-უკვლოთ დაკარგულთა, დაჭრილთა და დატყვევებულ ჯარისკაცთა შესახებ.

1. მოკლულთა და უგზო-უკვლოთ დაკარგულთა შესახებ უნდა მიმართოთ შემდეგი ადრესით: Петроградъ, Караванная ул., д. № 1, особое дѣлопроизводство Главнаго Штаба.

2 დაჭრილთა შესახებ ცნობების მისაღებად საჭიროა მიმართოთ: Петроград, Басковская ул, д. № 12. Справочный отдѣл при Главномъ Управленіи Россійскаго Краснаго Креста.

3. ტყვეთ წაყვანილთა შესახებ უნდა მიმართოთ: Петроградъ, Ин[illegible] д. № 9, Центра[illegible] бюро о военноплѣнныхъ при [illegible] номъ Управлені[illegible] наго Креста.

ცნობის მისაღებათ აუცილებლათ [illegible]როა გარკვევით აჩვენოთ სახელი, [illegible] სახელი, გვარი და აღნიშნოთ ჯარის ნაწილი (კორპუსი, პოლკი და როტა), სადაც ჯარისკაცი მსახურობდა.

წერილში უნდა აღინიშნოს აგრეთვე სწორი ადრესი შემკითხველისა (სახელი, მამის სახელი, გვარი და გუბერნია, [illegible] და სოფელი, სადაც თვით სცხოვრობს[illegible]

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან — დილის — 5 ს. 58
" — საღამ. — 6 ს. 57
ბათომიდან — დღისით — 1 ს. 25
" — ღამის — 2 ს. 22
ფოთიდან — დილის — 10 ს. 5
ტყიბულიდან — საღამოს — 7 ს. 38
შორაპნიდან — დილის — 9 ს. 18

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ — დილის — 11 ს. 55
" — ღამის — 1 ს. 7
ბათომისაკენ — დღისით — 5 ს. 30
" — დილის — 4 ს. 27
ფოთისკენ — დღისით — 4 ს. 27
ტყიბულისკენ — დილის — 6 ს. 29
შორაპნისაკენ — დღით. — 5 ს. —

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
— მიღებულია დიდძალი —
საპნის გასაკეთებელი „სოდა“
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

ქუთაისის განყოფილება
ამხ.-ბა „პროვოდნიკი“.
გვაქვს საწყობში გასასყიდათ დამზადებული დიდძალი
კალოშები საზაფხულო და საზამთრო ყველა არტიკულისა სრულის ამორჩევით.
საეტლო შინები საერთაშორისო მარკები „სლონ“ და „სვერხ-სლონ“
და აგრეთვე სხვადასხვა საქონელი საკუთარი ნაწარმოებისა. 30—

უძლურება და ნევრასტენია.
უძლურობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცენ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში, ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნერვიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უძლურობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი
გრანული ექ. გლეზისა.
გრანული ექ. გლეზისა მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის სქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის.
გრანული ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ—სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და ანახლებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრანული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ახალებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავათმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას.
გრანული ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ უნიშნავენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავათმყოფოებში.
გრანული იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **ა. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში.
ფასი ერთი კუთისა—5 მანეთი. სრულ გათავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 კუთი.
* * *
მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც მოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.
მ. ხ. ექ. გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მძლავრი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც მცირე დოზა საწყალ დღეში ორჯერ რომ მიიღოს ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველად გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში.
(წლიური) დოკტ. სტ. სოვ. ვიქტორ ვიკენტის ძე **ხრული**. ქ. ოდესა.